ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №15

ქ. თბილისი

11 თებერვალი 2015 წელი

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. ,,ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში - "ხელშეკრულება") – შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. ,,შემსყიდველი ორგანიზაცია" - (შემდგომ "შემსყიდველი") ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.3. ,,მიმწოდებელი" - პირი, რომელმაც შემსყიდველ ორგანიზაციასთან დადო ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ.

1.4. ,,ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.5. ,,დღე", ,,კვირა", ,,თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს, თუ ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის გათვალისწინებული.

2. ხელშეკრულების დამდები მხარეები

2.1. ერთის მხრივ, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო (შემდგომში შემსყიდველი), წარმოდგენილი ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსის ლელა უზარაშვილის სახით და მეორეს მხრივ, შპს ,,აკა" (შემდგომში მიმწოდებელი), წარმოდგენილი მისი დირექტორის დავით მკალავიშვილის სახით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში - ხელშეკრულება) შემდეგზე:

3. ხელშეკრულების საგანი

3.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზე რიცხული მანქანის **(Mercedes-Benz E320 სახელმსწიფო ნომრით: QLQ-658)** ნაწილები და აქსესუარები სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი ძრავებისათვის (CPV:34300000), ნავთობი, ქვანახშირი და ნავთობპროდუქტები (CPV:09200000), სატრანპორტო საშუალებებისა და მათთან დაკავშირებული საშუალებების შეკეთება, ტექნიკური მომსახურება (CPV:50100000) (შემდგომში - საქონელი/მომსახურება) ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 1030 (ათასოცდაათი) ლარს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გათვალისწინებით.

4.2. მანქანების შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების (CPV: 50112000) - სავალი ნაწილის დათვალიერების ღირებულება შეადგენს 25 (ოცდახუთი) ლარს;

4.3. მანქანების შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების (CPV: 50112000) - თავისუფალი მიმმართველი შკივის შეცვლის ღირებულება შეადგენს 23 (ოცდასამი) ლარს;

4.4. მანქანების შეკეთება და ტექნიკური მომსახურების (CPV: 50112000) - მარჯვენა საჭის წევის მტვრისაგან დამცავისა და ბუნიკის შეცვლის ღირებულება შეადგენს 46 (ორმოცდაექვსი) ლარს;

4.5. მანქანების შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების (CPV: 50112000) - წინა მშრალი ამორტიზატორის ჯოხების და რეზინების შეცვლის ღირებულება შეადგენს 74 (სამოცდათოთხმეტი) ლარს;

4.6. მანქანების შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების (CPV: 50112000) - მარცხენა საჭის წევის შეცვლის ღირებულება შეადგენს 41 (ორმოცდაერთი) ლარს;
4.7. მანქანების შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების (CPV: 50112000) - თვლების შეყრის კუთხის გასწორების ღირებულება შეადგენს 40 (ორმოცი) ლარს;
4.8. ჰიდრავლიკურ სისტემებში და სხვა მიზნებით გამოსაყენებელი ზეთი (CPV: 09211600) (ჰიდრავლიკის ზეთი) ღირებულება შეადგენს 25 (ოცდახუთი) ლარს;
4.9. ტრანსმისიური ზეთის (CPV: 09211400) ღირებულება შეადგენს 25 (ოცდახუთი) ლარს;
4.10. მექანიკური სათადარიგო ნაწილები, ძრავებისა და ძრავის ნაწილების გარდა (CPV: 34320000) საჭის წევის ბუნიკის ღირებულება შეადგენს 191 (ასოთხმოცდათერთმეტი) ლარს;
4.11. მექანიკური სათადარიგო ნაწილები, ძრავებისა და ძრავის ნაწილების გარდა (CPV: 34320000) მშრალი ამორტიზატორის ჯოხის ღირებულება შეადგენს 32 (ოცდათორმეტი) ლარს, ხოლო შესყიდვის ობიექტის რაოდენობა შეადგენს 2 ცალს, სულ 64 (სამოცდაოთხი) ლარის ოდენობით;
4.12. მექანიკური სათადარიგო ნაწილები, ძრავებისა და ძრავის ნაწილების გარდა (CPV: 34320000) მშრალი ამორტიზატორის რეზინის ღირებულება შეადგენს 30 (ოცდაათი) ლარს;
4.13. მექანიკური სათადარიგო ნაწილები, ძრავებისა და ძრავის ნაწილების გარდა (CPV: 34320000) საჭის წევის მტვრისაგან დამცავი მანჟეტის ღირებულება შეადგენს 53 (ორმოცდაცამეტი) ლარს;
4.14. მექანიკური სათადარიგო ნაწილები, ძრავებისა და ძრავის ნაწილების გარდა (CPV: 34320000) თავისუფალი მიმმართველი შკივის ღირებულება შეადგენს 63 (სამოცდასამი) ლარს;
4.15. მექანიკური სათადარიგო ნაწილები, ძრავებისა და ძრავის ნაწილების გარდა (CPV: 34320000) საჭის წევის ღირებულება შეადგენს 165 (ასსამოცდახუთი) ლარს, ხოლო შესყიდვის ობიექტის რაოდენობა შეადგენს 2 ცალს, სულ 330 (სამასოცდაათი) ლარის ოდენობით;

5. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

5.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.
5.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს გაწეული საქონელი/მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.
5.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

6. მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარატამენტის უფროსი ლელა უზარაშვილი.
6.2. საქონელი/მომსახურება ჩაითვლება გაწეულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

7. საქონელი/მომსახურების მიწოდების ადგილი და ვადა

7.1. საქონელი/მომსახურების გაწევის ადგილია: ქ. თბილისი, უნივერსიტეტის №6.
7.2. საქონელი/მომსახურების მიწოდება განხორციელდება 2015 წლის 17 თებერვლის ჩათვლით.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.
8.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს გაწეული საქონელი/მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

8.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლი/მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
8.4. მიმწოდებელი ვალდებულია განახორციელოს საქონელი/მომსახურება ჯეროვნად, კეთილსინდისიერად და სრული მოცულობით იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 7.2 პუნქტში.

9. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

9.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ჩაატაროს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი. მიმწოდებელი ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელებისას ვალდებულია ხელი შეუწყოს შემსყიდველს.
9.2. შემსყიდველის მიერ ხელშეკულების პირობების შესრულების კონტროლი განხორციელდება ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე. კონტროლს განახორციელებს სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტი.

10. ხარისხი

10.1. მიწოდებული/გაწეული საქონელი/მომსახურების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებს.

11. პირგასამტეხლო ხელსეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

11.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის დარღვევის შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,5 %-ის ოდენობით.
11.2. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
12.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
12.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.
12.4. ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
12.5. მხარე ვალდებულია 12.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.
12.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

13. დაუძლეველი ძალა

13.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია

დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. ასეთის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

14. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

14.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

15. სხვა პირობები

15.1. ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზეპლარი გადაეცემა „მიმწოდებელს", ხოლო მეორე „შემსყიდველს".

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2015 წლის 18 მარტის ჩათვლით.

17. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო

მის: ქ. თბილისი, თამარაშვილის ქ. 15ᵃ
ს/კ: 205308521 ტელ:599902348
სახელმწიფო ხაზინა
ანგარიში-ხაზინის ერთიანი ანგარიში
კოდი TRESGE22

ადმინისტრაციული დეპარტამენტის
უფროსი ლელა უზარაშვილი

მიმწოდებელი:

შპს „აკა"
მის: ქ. თბილისი, უნივერსიტეტის №6
ს/კ 204875082 ტელ:599420505
სს ბანკი რესპუბლიკა ც/ფ
ბ/კ REPLGE22
GE67BR0000000006467464

დირექტორი
დავით მკალავიშვილი